

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
აკადემიური საბჭო.

თბილისი

20 დეკემბერი 2013 წ.

სხდომის ოქმი №7/2013

სხდომას ეწვრიებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე
2. პროფესორი კახი ყურაშვილი
3. პროფესორი თამარ ჩიტოშვილი
4. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე
5. ასოც. პროფესორი მაკა კაჭარავა
6. პროფესორი მანანა პაიჭაძე
7. ასოც. პროფესორი ილონა საყვარელიძე
8. პროფესორი ტატინა ზუბიაშვილი;
9. პროფესორი მადონა გელაშვილი;

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თჰუ აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე (მომხ. კ.ყურაშვილი).

მოისმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ თჰუ-ის ყველა ფაკულტეტზე არის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, რაც იძლევა საშუალებას:

- გამოცხადდეს ღია კონკურსი;
- შეიქმნას საკონკურსო კომისია;
- განისაზღვროს კონკურსის ჩატარების დრო და პირობები.

მომხსენებელმა წარმოადგინა პერსპექტიული ვაკანტური საშტატო ერთეულების ნუსხა შემდეგი სახით:

ა) სამართლის ფაკულტეტი:

- პროფესორი (სპეციალობა – სამართალი, მიმართულება – საჯარო სამართალი) – 1 საშტატო ერთეული;
- პროფესორი (სპეციალობა – სამართალი, მიმართულება – კერძო სამართალი) – 1 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი (სპეციალობა სამართალი, მიმართულება – საჯარო სამართალი) – 1 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი (სპეციალობა სამართალი, მიმართულება – ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი) – 1 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი (სპეციალობა სამართალი, მიმართულება – სისხლის სამართალი) – 1 საშტატო ერთეული;

ბ) ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:

- პროფესორი – ეკონომიკის მიმართულება – 1 საშტატო ერთეული;

გ) ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

- პროფესორი – ინგლისური ფილოლოგია (ინგლისური ლიტერატურა) – 1 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – ინგლისური ფილოლოგია (ინგლისური ენა) – 2 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – ფრანგული ფილოლოგია – 1 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – სლავური ფილოლოგია – 1 საშტატო ერთეული;

დ) ჯანდაცვის ფაკულტეტი:

- პროფესორი – ჯანდაცვა (სტომატოლოგია) – 1 საშტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (მედიცინა) – 1 საშტატო ერთეული;

პროფ. კ. ყურაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატთა სია, შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზაზა რუხაძე, სამართლის დოქტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) ზურაბ ბერია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;
- გ) თამარ მოსიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;
- დ) ლარისა თაკალანძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;
- ე) მანანა რუსეიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი(ინგლისური ენა);
- ვ) რუსუდან გაჩავა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (ფრანგული ენა);
- ზ) ელდინო წერეთელი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (სლავური ლიტერატურა).

ასევე მომხსენებელმა თჰუ დებულების მე-20 მუხლის თანახმად სხდომას გააცნო კონკურსანტთა საკვალიპიკაციო მოთხოვნები (კითხულობს):

✓ პროფესორად აირჩევა 75 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:

- ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;
- ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- გ) ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;
- დ) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინაში მომზადებულ სილაბუსს/სილაბუსებს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია;
- ე) განცხადებასთან ერთად აკადემიური თანამდებობის პრეტენდენტმა უნდა შეავსოს:
  - განცხადების ტიპური ფორმა, რომელშიც განცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში“ 2003–2013 წლებში;

✓ ასოცირებულ პროფესორად აირჩევა 65 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:

- ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;
- ბ) აქვს სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- გ) ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;
- დ) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინაში მომზადებულ სილაბუსს/სილაბუსებს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია;
- ე) განცხადებასთან ერთად აკადემიური თანამდებობის პრეტენდენტმა უნდა შეავსოს:
  - განცხადების ტიპიური ფორმა, რომელშიც განაცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში“ 2003–2013 წლებში;

ასევე, სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიაზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) CV (რეზიუმე); ბეჭდური და ელექტრონული
- დ) ნოტარიულად დამოწმებული აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის/დიპლომების ასლები;
- ე) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი ცნობები;
- ვ) ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით სილაბუსი/სილაბუსები თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით.
- ზ) ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;
- თ) შრომების /სტატიების სია ბოლო 10 წლის მანძილზე (ბეჭდით დამოწმებული), სხვა შემთხვევაში – პირადი ხელმოწერით დადასტურებული, ყველა ნაშრომის თავფურცლის, სარჩევისა და სტატიის ამონარიდის დართვით;
- ი) თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში“ 2003–2013 წლებში;
- კ) განაცხადი, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მომხსენებელმა პროფ. ვ. ყურაშვილმა სხდომის წევრებს სთხოვა, რომ მხარი დაუჭიროს მის წინადადებას, კერძოდ:

- ა) ღია კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 29 დეკემბერს;
- ბ) ღია კონკურსში კონკურსანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 1 თებერვლის 10 საათიდან 2014 წლის 10 თებერვლის 17.00 საათმდე თჰუ მისამართზე;
- გ) თჰუ აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის ვადა განსაზღვროს შემდეგნაირად:
  - სამართლის ფაკულტეტზე – 4 წელი;
  - ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე – 4 წელი;
  - ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე – 4 წელი;
  - ჯანდაცვის ფაკულტეტზე – 5 წელი;
- დ) საკონკურსო კომისიის შემადგამებელი სხდომა ჩატარდეს 2014 წლის 12 თებერვალს, ხოლო კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საკონკურსო კომისიის სხდომის დასრულებისთანავე;

აზრი გამოთქვას: პროფ. ვ. საყვარელიძემ, და პროფ. მ. გელაშვილმა

გადაწყვიტეს:

1. თჰუ-ში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 29 დეკემბრიდან;
2. თჰუ-ში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად განცხადებების მიღება განხორციელდეს 2014 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 10 თებერვლის ჩათვლით;
3. შეიქმნას საკონკურსო კომისია პროფ. ვ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით;
4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა წარმოდგენილი სახით;
5. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი სხდომა გაიმართოს 2014 წლის 12 თებერვალს, ხოლო შედეგები გამოქვეყნდეს კონკურსში გამარჯვებულების გამოქვეყნებისთანავე;
6. ღია კონკურსში გამარჯვებული პირი აკადემიურ თანამდებობაზე განწესდეს 4 ან 5 წლით.
7. ეს გადაწყვეტილება და ცნობა ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აგრეთვე, გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით;
8. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:

ვ. საყვარელიძე  
ვ. ყურაშვილი

